სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/02

ქ. თბილისი 18 იანვარი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2024 წლის 18 იანვრის №8 შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად 2024 წლის 18 იანვარს აკადემიურ საბჭოში ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს აკადემიკოსი დავით გურგენიძე და მისი უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს 2024 წლის 16 თებერვლიდან.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**